

Environmental risk is the integral characteristic, or environmental hazard is the quantitative measure of the environmental risk factors. Environmental hazards part of initiators.

Environmental risk factors are divided into two groups: natural and anthropogenic conditioned.

Environmental risk factors include: geological disasters, weather events, natural disasters.

Environmental risk due to anthropogenic factors include: the environment pollution, physical, biological and chemical factors.

1993 A. Akeleromm health risk factors and their surrounding environment criteria for classification as follows. Specifically health risk factors and environment factors between the two groups began their criteria. The first group of factors combined.


„ადამიანო ნუ წარმოიდგენ, რომ ხილული დაუსაბამონი არიან....თითქოს სამყარო დაუსაბამო და დაუსრულებელი იყოს...იქ სადაც ნაწილები გახრწნასა და ცვალებადობას ემორჩილება, მთელიც ოდესმე უცილობლად თავისი ნაწილების მსგავსად შეიცვლის სახეს,,  
**ნშინდა ბასილი დიდი**

ეკოლოგიური რისკი წარმოადგენს ინტეგრაციულ მახასიათებელს, ანდა ეკოლოგიური საფრთხის რაოდენობრივ საზომს. ეკოლოგიური რისკის ფაქტორები ესაა ეკოლოგიური საფრთხის შემადგენელი ნაწილები და ინიციატორები.

ეკოლოგიური საფრთხე ესა რეალიზებული ანდა მოსალოდნებული ეკოლოგიური საშიშროება, ასევთქვათ მუქარა ანტროპოგენური ანუ ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევასა და გარემომცველი გარემოს გაუარესებას.

ეკოლოგიური რისკის ფაქტორები იყოთა ორ ჯგუფად. (იხ. სქემა 1)

სქემა 1



1. ბუნებრივი ფაქტორები - ესაა გეოლოგიური ფაქტორები და კატასტროფები (მიწისძვრები, ვულკანის ამოფრქვევა, მეწყერები და ა.შ.); კლიმატური მოვლენები (გვალვები, ქარიშხლები, ტაიფუნები, ცუნამები); ანდა ბუნებრივი უძედურებები (დაავადებათა პათოგენური გამოწვევების გაზრდა, მღრნელების მასიური მიგრაციების ტალღები, კალიების შემოსევა და ა.შ.)

2. ანტროპოგენურად განპირობებული ფაქტორები — რადიაციული საფრთხე და ბინძურებული ანდა აუცილებელი ელემენტებით საკმარისად გამდიდრებული სასმელი წყალი, ეპიდემოლოგიური რისკი გამოწვეული, როგორც საყოფაცხოვრები ჩადინებით დაბინძურებული წყლიდან და ნიადაგიდან, ასევე დაავადებათა გამოწვევების გეოგრაფიული გავრცელება.

მთელი ცოცხალი პლანეტის გლობალური რისკი დაკავშირებულია ოზონის შრის დარღვევასთან, ატმოსფეროში თბური გაზების დაგროვების შედეგად კლიმატის ცვლილებასთან, სი-თბურ გამოსხივებასთან მსხვილ სამრეწველო და დასახლებული პუნქტების, ტყეების განადგურებასთან, [როგორც ტროპიკული ასევე ჩრდილოეთის] — უანგბადის ძლიერ წყაროსთან და პლანეტის კლიმატის რეგულატორებთან.

ბუნების მსხვილმაშტაბიანი გარდაქმნები (ყამირი მიწების გადახვნა, ატომური ელექტროსადგურებისა და მსვილი აგროსამრეწველო კომპლექსების მშენებლობა, მდინარეთა შემობრუნების პროექტები, ჭაობების ამოშრობა) ასევე ბუნებისა და ადამიანებისთვის წარმოგენერირების უკოლოგიური რისკების ძლიერ ფაქტორებს. რისკის ფაქტორის დიდი ჯგუფი დაკავშირებულია ტექნოგენურ კატასტროფებთან და საომარ მოქმედებებთან. რისკების მეორე ფაქტორებს მიეკუთვნება ომებისა და ეკოლოგიური კატასტროფების სოციალური შედეგები. ასიური დაავადებები და უბედურების რაიონებიდან მიგრაციები. მაგარმ ჩამოთვლილი რის-

კებისა და საფრთხეების მთავარი ფაქტორის მთელი თავისი მნიშვნელობის მიუხედავად თანამედროვე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხეს დედამიწაზე წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების (ცოცხალ არსებათა სახეობათა განადგურება) შემცირება, რომელსაც მივყავართ ბუნებრივ ეკოსისტემების დაკარგვისა და მისი ყველა დონის განადგურების მდგომარეობასთან.

ა. კელლერმმა (1993 წ) ჯანმრთელობის-თვის გარემომცველ გარემოს რისკის ფაქტორები და მათი კრიტერიუმების კლასიფიკაცია შემდეგი სახით მოახდინა.

**რისკის ეკოლოგიური ფაქტორების კლასიფიკაცია  
6.ფ რეიმერსის (1990) მიხედვით წარმოდგენილია ცხრილ 2 ში  
ეკოლოგიური ფაქტორების კლასიფიკაცია**

| I ფაქტორები               | კლასიფიკაცია<br>ბუნებრივი   |
|---------------------------|---|
|                           | <p><b>1. აბიოტური:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>* კლიმატურმეტეოროლოგიური ( ტემპერატურა, ჰაერისმოძრაობანალექებიდასხვა)</li> <li>* ოროგრაფიული ( ატმოსფეროსადაცლა, ზვავები, მეწყერებიდასხვა)</li> <li>* გეოგრაფიური ( გეომაგნიტურიქარისტები, მინისვრებიდასხვა)</li> <li>* ჰიდროგრაფიული ( წყალდიდობები, დაჭაობებადასხვა)</li> <li>* გეოლოგიური ( ქანებისშემადგენლობა, რადიაციადასხვა)</li> <li>* ნიაღაგური ( მიკროელემენტები, მცვერნარმოქმნადასხვა)</li> </ul> <p><b>2. ბიოტური:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>* ფაუნა ( შხამიანდასაშიშიცხოველები, დაავადებისგამომწვევიგადამტანებიდასხვა)</li> <li>* ფლორა ( შხამიანდასამკუნალომცენარეებიდასხვა)</li> <li>მიკროფლორა ( წყლის, ჰაერის, ნიაღაგისცხოველების, მცვენარეებისდასხვა) <ul style="list-style-type: none"> <li>* კომპლექსებისიბიოლოგიურიკოპონენტები ( ტოქსინები, ცილებინივთიერებათაცვლისცხეულები)</li> <li>* ბიოცენოზი ( დაავადებათაბუნებრივიწყაროები)</li> </ul> </li> <p><b>3. სოციალურ - ეკონომიკური</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>* მოსახლეობა ( დემოგრაფია, განსახლება, მიგრაცია, ცხოვრების წესი და სხვა)</li> <li>* საზოგადოებისტერიტორიულიორგანიზება, მინებისასამეურნეოგამოყენება)</li> <li>* ფიზიკურიდაბინძურება ( ჰაერის, წყლის, ნიაღაგის, მცვენარეების, ცხოველების და სხვა)</li> <li>* ბიოლოგიურიფაქტორები ( ჰაერის, წყლის, ნიაღაგისმიკრობულიდაბინძურება, ორგანული ნარჩენები, ალლერგენები)</li> <li>* სამრეწველოდასატრანსპორტოფაქტორები ( ავარიები, კატასტროფები, ტვირთნაკადებიდასხვა)</li> <li>* კომუნალურ - საყოფაცხოვრებოფაქტორები;</li> <li>* სანიტარული - ჰიგიენური მდგომარეობა და ეპიდემიური სტატუსი</li> <li>* ფსიქოტრამიული ფაქტორები ( ეკოლოგიური გადაღლა)</li> <li>* სამედიცინო მომსახურება, ვეტერინალური მომსახურება და ინფრასტრუქტურა.</li> </ul> <p><b>4. კომპლექსური</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>* ლანდშაფტური</li> <li>* ზონალური</li> <li>* პლანეტალური</li> <li>* ისტორიული</li> <li>* პალეონტოლოგიური</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>* ალტერნატიული ( არარსებობა - არსებობა )</li> <li>* რაოდენობრივი ( ნორმატივები, მაჩვენებლები და სხვა)</li> <li>* ნახევრად რაოდენობრივი [ რანგის ]: ბალური ანდა შედარებითი ( კარგი, დამაკმაყოფილებელი, ცუდი, ექსტრემალური და სხვა]</li> <li>* კომპლექსური ( ლანდშაფტური, მედიკო - გეოგრაფიული, ჯანმრთელობის და გარეოს ინტეგრალური მაჩვენებლები )</li> </ul> </ul> |
| II ჯგუფის<br>კრიტერიუმები |   |

(რეიმერსი 6 .ფ , 1990 )

| კლასიფიკაციის ნიშანთვისება | ფაქტორები   |
|----------------------------|---|
| დროითი                     | ევოლუციური, ისტორიული, მოქმედი  |
| პერიოდულობით               | პერიოდული, არაპერიოდული   |
| წარმოქმნის რიგითობით       | პირველადი, მეორადი  |
| წარმოქმნის მიხედვით        | კოსმიური, აბიოტური (აბიოგენური), ბიოგენური, ბიოლოგიური, ბიოტიკური, ანტროპოგენური  |
| გარემოში წარმოქმნით        | ატმოსფერული, წყლების, გეომორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, პოპულაციური, ბიოცენოტიკური, ეკოსისტემური, ბიოსფერული           |
| მახასიათებლებით            | ენერგეტიკულ - ნივთობრივი, ფიზიკური, ბიოგენური ინფორმაციული, ქიმიური, კომპლექსური, (ეკოლოგიური, სისტემონარმომქმნელი, კლიმატური ) |
| ობიექტის მიხედვით          | ინდივიდუალური, ჯგუფური (სოციალური, სოციალ-ეკონომიკური, სახეობითი )  |
| გარემოს პირობებით          | დამოკიდებული სიმტკიცეზე, არადამოკიდებული სიმტკიცეზე   |
| ზემოქმედების ხარისხით      | ექსტრემალური, ლიმიტირებული, მდელვარე, მეტაგენური, ტერატოგენური, კანცეროგენური   |
| ზემოქმედების სპექტრით      | ამორჩევითი, საერთო მოქმედების.  |

მეტად აქტუალურია საკვლევი ტერიტორიის სხვადასხვა ბუნებრივი ზონების დამაბინძურებელთა კომპლექსიდან რისკის პრიორიტეტული ფაქტორების განსაზღვრის პრობლემა. ეს დაკავშირებულია იმასთან რომ ახალი დამაბინძურებელნი ედება უკვე არსებულ ძველს, ამიტომ კონტრლონისძიებათა ეფექტიანობა დამოკიდებულია სწორედ მოცემულ ტერიტორიაზე ჩამყალიბებულ პრიორიტეტული დამაბინძურებების სწორ შერჩევაზე და მათ კომბინაციაზე.

მ.ვ ნაბოკამ შეიმუშავა შემდეგი მეთოდოლოგიური მიღვომა:

1. საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა ერთ-ტიპიური ბუნებრივი ზონები, მისითვის ჩვეული, დამახასიათებელი დაბინძურებისა და დაავადებათა გავრცელების დონით.
  2. იგება მრავალფართობიანი ხაზობრივი რეგრესიული მოდულები „ფაქტორები — დაავადებები“ თვითეული ბუნებრივი ზონისთვის.
  3. თვითეული ზონისთვის გამოყოფა დაავადებათა რისკის პრიორიტეტული ფაქტორები.
  4. იგება ეკსპონენტური მოდელები წყვილი წამყვანი ფაქტორებისა და ფაქტორთა კომბინაციისთვის.
- ორიენტირის სახით, რომლისკენაც უნდა მისწრაფოდეს და რომელიც რეალურად შესაძლებელია მიღწეულ იქნას კონკრეტუ-

ლად ტერიტორიების დაბინძურების ჩამოყალიბებულ ფაქტიურ პირობებში, შეიძლება გამოყენებული იყოს დაავადებათა ტერიტორიული რისკი.

ამგვარად, კონკრეტული რეგიონისთვის გაანგარიშების გზით შეიძლება გამოიყოს დამაბინძურებელთა კომპლექსიდან პრიორიტეტული ფაქტორები, შეფასდეს რისკი და განისაზღვროს მათი შემცირების მაქსიმალური ეფექტის მიღწევის პირობები . რისკის ასეთი ტერიტორიალური მაჩვენებლების გამოყენება ორიენტირებული პრიორიტეტული ფაქტორების გამოყოფაზე შესაძლებლობას იძლევა პროფილაქტიკის სისტემაში იმართოს რისკი და შემუშავებულ იქნას მოქმედებათა კონტრლონისძიებები, კონკრეტულ ტერიტორიაზე გარემომცველ გარემოს დაბინძურებისას.

თანამედროვე პირობებში ადამიანის საქმიანობა მრავალი ასპექტის კუთხით გახდა ერთ-ერთ ძირითად გარემონარმომქნელ ფაქტორად ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. ამის გამო არსებითად გაიზარდა ანტროპოგენური ზემოქმედების როლი, მათ შორის ტექნოგენური დაბინძურებით ადამიანის მრავალ დაავადებათა წარმოქმნაში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებაში ნათქვამია რომ ჯანმრთელობა-ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. არანაკლებ მნიშვნელოვანს წარმოადგენს ადამიანის უფლება იმ ფაქტორთა ინფორმაციაზე რომლებიც

განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობას, ანდა წარმოადგენენ


რისკის ფაქტორებს ე.ი მათმა ზემოქმედებაზე შეიძლება მიგვიყვანოს დაავადებების განვითარებასთან.

ამ კუთხით საინტერესოა განვიხილოთ რისკის მართვის ღონისძიებები. მმართველობითი საქმიანობა გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებისა, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის მაღალ მნიშვნელობის არ დაშვება მოიცავს გადაწყვეტილებათა სამ ჯგუფს (სქემა 3)

1. გამაფრთხილებელი (პრევენციული)
2. პროფილაქტიკური
3. აპოსტერიორული

მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების მართვის ღონისძიებათა კლასიფიკაცია

სქემა 3



პირველ ჯგუფს წარმოქმნიან პრევენციული ღონისძიებები:

- ობიექტისა და საქმიანობით საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, რომელთა სავარაუდო რეალიზაციამ შეიძლება მოახდინოს არაკეთილსასურველი ზემოქმედება გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე.
- საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სანიტარულ - ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს, დასახელებულ გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო, განზრახულ საქმიანობის განხორციელებისას პროგნოზური ზემოქმედება გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე და მოსახლეობაზე, ჯანმრთელობის რისკის შედარებითი შეფასების მიღებული მონაცემები აღწევს ისეთ მნიშვნელობებს, რომლის შემთხვევებშიც შეიძლება წარმოქმნას

მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანთა ჯანმრთელობის საშიშროება მიიღება ისეთი პრევენციული მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და გენეტიკური ფონდის შენარჩუნებას.

მმართველობითი გადაწყვეტილებების პირველ ჯგუფს, რომელიც მიიღება მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების საფუძველზე მიეკუთვნება აგრეთვე უსაფრთხო მედიკობიოლოგიური თვალთახედვით უსაფრთხო დასაშვები ზემოქმედების დონის განსაზღვრა, გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე (ცხოვრების გარემოზე) და ადამიანზე .

#### კერძოდ :

- მავნე ნივთიერებების, ასევე მავნე მიკროორგანიზმებისა და სხვა ბიოლოგიური ნივთიერებების ზღვრულად დაშვებული კონცენტრაციის დადგენა, დაბინძურებულ ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და წიაღაგში.
- ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დამაბინძურებელ ნივთიერებების გადაყრისა და გამონაბოლქვის ნორმატივების შემუშავება, შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში და წყლის ობიექტებში.
- მავნე ნივთიერებები გადყრისა და გამონაბოლქვის დროებით შეთანხმებულ ნორმატივების (ლიმიტების) დამუშავება და დასაბუთება შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერისა და წყლის ობიექტში, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ლიმიტები.
- ზღვრულად დასაშვები ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტურობისა და სხვა ფიზიკური ზემოქმედების დონის დადგენა (დაზუსტება).
- სოფლის მეურნეობაში მინერალური ნივთიერებების, მცენარეთა დაცვითი საშუალებების, ზრდის სტიმულირებისა და სხვა აგრძელიმიკატების გამოყენების ნარჩენების რაოდენობის დადგენა (დაზუსტება).
- კვების პროდუქტებში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნარჩენების როდენობის დადგენა (დაზუსტება).

მეორე ჯგუფს შეადგენს პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- გარემომცველ ბუნებრივ გარემოში და-  
მაბინძურებელ ნივთიერებების შესაბა-  
მისი რეალური გადაყრისა და გამოფრ-  
ქვევის გამოვლენისათის დადგენილი  
ნორმატივებისა და ლიმიტების მიხედ-  
ვით სამრეწველო და საყოფაცხოვრებო  
ნარჩენების განთავსების მოცულობათა  
სახელმწიფო ეკოლოგიური კონტრო-  
ლის ჩატარება.
- პოტენციურად საშიში დამაბინძურებე-  
ლი ნივთიერებებისთვის თანრიგით  
დადგენილი, დამტკიცებული ზღვრუ-  
ლად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვ-  
ნელობათა არ არსებობა.
- სამრეწველო რაიონებში (ზონებში) ატ-  
მოსფერული ჰაერის ფონური დაბინძუ-  
რების მნიშვნელობის კორექტირების  
შეტანა დამაბინძურებელთა რამდენიმე  
წყაროს კუმულატიურ და შესამებულ  
ზემოქმედებისას. ასეთ შემთხვევაში  
რისკის შეფასება ინსტრუმენტის როლს  
თამაშობს მოსახლეობის ჯანმრთელო-  
ბაზე შესაძლებელი არასასურველი ზე-  
მოქმედების გამოვლენისათვის და აუ-  
ცილებელი მმართველობითი ღონის-  
ძიებების მიღებისთვის მათი შემცირე-  
ბისა და თავიდან აცილებისათვის.

ჯანმრთელობის რისკის შეფასება შეიძლე-  
ბა გამოყენებულ იქნას, როგორც ეკოლოგიური  
მონიტორინგის საშუალება (როგორც  
გარემომცველ ბუნებრივ გარემოს ხარისხის  
უკუშეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობის  
მდგომარეობის მონაცემებით), ასევე როგორც  
მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის ინს-  
ტრუმენტი, გარემომცველ ბუნებრივ გარემოსა

და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარე-  
ობას შორის.

მეორე ჯგუფში შედის მოსახლეობის ჯან-  
მრთელობაზე მიმართული ღონისძიებები უკვე  
არსებული არსასურველი ზემოქმედების გა-  
მოვლენისა.

ისინი კერძოდ შეიძლება ჩართული იქნას  
ეკოლოგიურად არასასიკეთო ზონების გამოვ-  
ლენისათვის, ასეთ ზონებში ეკოსისტემების  
დეგრადაციის ხარისხის განსაზღვრისათვის, ამ  
ტერიტორიების გამოჯანსაღებისათვის. ღო-  
ნისძიებების დასაბუთება, აგრეთვე ზიანის სი-  
დიდის დადგენა და შეფასება. რომელიც მიყე-  
ნებულია ადამიანთა ჯანმრთელობაზე ბუნების  
დაცვით კანონმდებლობის დაღვევით. ამგვა-  
რად, გარემომცველი გარემოს დაბინძურების  
შედეგად ჯანმრთელობის რისკების ანალიზის  
მეთოდოლოგიის გამოყენება და მისი თანმხ-  
ლები მართველობითი გადაწყვეტები ეყრდნობა  
კონკრეტულ ეკოლოგიური პრობლემების გა-  
მოვლენასა და სტრუქტურირებას, რისკების  
ცალკეული ფაქტორებისა და მისი ჯგუფების  
იდენტიფიკაციას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. წმინდა ბასილ დიდი „პომილიები ექვსი დღი-  
სათვის“, გა. 2006, გვ. 17
1. Анасимов А.В. „Экономический менеджмент`  
„феникс` 2009
2. Шимова О. Соколовский А.К „Основы эконо-  
мий и экономика природопользования `Минск  
БГЭУ, 2001
3. Юкелина Н., Безручко Н.В. „Экология чело-  
века“, феникс , 2009.

## **ყაზბეგ-ომალოს ზონის თიხეაფიქლების გუნებრივი აირის შემცველობის პერსპექტიულობა**

**ნოდარ ფოფორაძე — სტუ-ს პროფესორი  
ოლდა სესკურია — სტუ-ს აკადემიური დოქტორი**

### **The prospects of natural air content in the shales of the Kazbegi-Omalo zone Summary**

In the present work we have described and  
researched lithologic and mineral composition of  
sandstones (quartz sandstones, quartzites,